



განხორციელება  
პროფესიული  
განვითარების  
პროფესიული  
საბჭო

# პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სახელმწიფო პროგრამა

2015 წლის ანგარიში

## 1. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული ცოდნა და უნარები პასუხობდეს პროფესიული სტანდარტითა და მოდულური სწავლებით გათვალისწინებულ შედეგებს; ჩამოყალიბებული იყოს და წარმატებით ფუნქციონირებდეს მასწავლებელთა მომზადებისა და განვითარების ერთიანი სისტემა.

პროგრამის აქტუალობა

## 2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების პროგრამის აქტუალობა

საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი პროფესიული განათლების მასწავლებლის განვითარება და ამ პროფესიის პრესტიჟის ამაღლებაა. პროფესიულ განათლებაში დაწყებული ცვლილებები მასწავლებლებს განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე აყენებს. იმისათვის, რომ ამ გამოწვევებს უპასუხონ, მასწავლებლებს დახმარება ესაჭიროებათ პროფესიული განვითარების სხვადასხვა ღონისძიებებით.

გარდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა, მუშაობს ასევე კონცეფციაზე, რომელის მიხედვითაც გათვალისწინებულია, პროფესიაში ახალი კადრების მოზიდვა, არსებული კვალიფიციური კადრების პროფესიაში შენახვა და მათი განვითარების ხელშეწყობა.

მოცემულ ეტაპზე ამ სფეროს ერთ-ერთი არსებული პრობლემაა პროფესიული განათლების პედაგოგოთა პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოუყალიბებლობა, რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხზე. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება პრიორიტეტული უნდა გახდეს ყველა დონეზე, როგორც დამწყები, ასევე პროფესიაში მყოფი და მასწავლებლობის მსურველებისათვის.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ეფექტური და შედეგიანი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება როგორც პედაგოგიური უნარების, ასევე პროფესიული კომპეტენციების ამაღლების მიმართულებით. პროფესიული განათლების მასწავლებელთა ყველა გამოკითხვა აჩვენებს, რომ პროფესიული სწავლების მასწავლებელთა ერთ-ერთ უმთავრეს აკადემიურ საჭიროებას წარმოადგენს პროფესიული განვითარების ტრენინგები დამსაქმებლებთან და საწარმოებში. არსებული პირობებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, პროგრამა

უშუალოდ პასუხობს პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა საჭიროებებს და მიმართულია მათი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობაზე.

### 3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ღონისძიებები

2015 წლის იანვრიდან დეკემბრის თვის ჩათვლით ჩატარდა პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა ტრენინგები შემდეგი მიმართულებით:

	ტრენინგ-მოდული	ჩატარდა	მომზადებული მასწავლებლების რაოდენობა
1	„ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტრენინგი პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლებისათვის“	17 საჯარო კოლეჯში (37 ჯგუფი)	452 (60%)
2	„ტრენინგი მოდულურ სწავლებაში პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლებისთვის“	18 საჯარო, 1 კერძო კოლეჯში (24 ჯგუფი)	545 (72%)
3	„პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგი მოდულურ სწავლებაში - შეფასების ინსტრუმენტების განვითარება“	19 საჯარო კოლეჯში (20 ჯგუფი)	460 (61%)
4	„ინდივიდუალური მიდგომები სპეციალური - საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების“	16 საჯარო კოლეჯში (23 ჯგუფი)	399 (53%)

	განათლებისას და პროფესიული ტესტირება - ნაწილი I“		
5	პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა ტრენინგები საწარმოებში, თანამედროვე ტექნოლოგიებში - დასანერგი მოდულური პროფესიული პროგრამების მიმართულებით	29 პროფესიაში (30 ჯგუფი)	210 (28%)
	<p style="text-align: right;">მთლიანი თანხა 238000</p> <p style="text-align: left;">ტრენინგებისთვის დაიხარჯა 155438</p>	134 ჯგუფი	

#### 4. მასწავლებელთა მიერ ტრენინგების შეფასების შედეგები:

##### 4.1. პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგები საწარმოში.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2015 წლის ივნისიდან განხორციელდა საგანმანათლებლო დაწესებულებების იდენტიფიცირება (კერძო კოლეჯების, საჯარო კოლეჯების და სახელმწიფო უნივერსიტეტების) 52 დასანერგი მოდულური პროგრამების მიხედვით; შედგა შესაბამისი პრაქტიკის მასწავლებელთა მონაცემთა ბაზა კოლეჯების მიერ შევსებული კითხვარების საფუძველზე (დასანერგი 52 მოდულური პროგრამების მიხედვით). მონაცემთა ბაზაში აღრიცხულია 417 პრაქტიკის მასწავლებელი, აქედან 94 მასწავლებელი ფიქსირდება - 15 კერძო კოლეჯში, 249 მასწავლებელი - 19 საჯარო კოლეჯში და 74 მასწავლებელი - 7 სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეს მასწავლებლები ჩართულები არიან დასანერგი მოდულური პროგრამების განხორციელებაში; შევსებული კითხვარები დამუშავდა და გაკეთდა ანალიზი, ცხრილების და გრაფიკების შექმნით, სადაც განისაზღვრა პრაქტიკის მასწავლებლების და პროგრამების რაოდენობა 52 დასანერგი მოდულური პროგრამების მიხედვით, დუბლირებული პედაგოგები, ქალის და მამაკაცის თანაფარდობა, პროგრამების და მასწავლებლების თანაფარდობა კოლეჯების მიხედვით.



საჯარო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა ტრენინგები საწარმოებში, თანამედროვე ტექნოლოგიებში, დეკემბრის ჩათვლით ჩატარდა 29 დასანერგი მოდულური პროფესიული პროგრამის მიმართულებით, ტრენინგი გაიარა 210-მა მასწავლებელმა (საერთო რაოდენობის დაახლ. 28%); [დოკუმენტაცია: ფასილიტატორების მიერ შემუშავებული ტრენინგ-მოდულები; ტრენინგების ანგარიშები; მონაწილეთა მონაცემების ელექტრონული ბაზა].

ტრენინგების განმავლობაში გადამზადდნენ შემდეგი პროფესიის მასწავლებლები:

პროფესიის დასახელება	რაოდენობა	პროცენტი
ბუღალტერ-ტექნიკოსი	4	2.2
ბუღალტერი	14	7.7
დეკორატიული გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი	10	5.5
ფეხსაცმლის და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი	6	3.3
ფილამწყობი	13	7.1
გამყიდველ-კონსულტანტი	3	1.6
ინფორმაციულ ტექნოლოგიების მხარდამწერის სპეციალისტი	14	7.7
კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი	8	4.4
მასაჯისტ რეაბილიტატორი	5	2.7
მეფუტკრეობა	4	2.2
ოფისის მენეჯერი	11	6.0
რეპორტიორი	5	2.7
საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი	5	2.7
სამგანზოლებიანი გრაფიკის გენერალისტი	6	3.3
სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	19	10.4
სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტი	5	2.7
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი	5	2.7
სისტემების ადმინისტრატორი	6	3.3
თაბაშირ -მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე	5	2.7
ტანსაცმლის მხატვრული კონტრუირების სპეციალისტი	8	4.4
თექის ოსტატი	5	2.7
თმის სტილისტი	8	4.4
ტურ-ოპერატორი	3	1.6
უახლესი ციფრული ტექნიკის გაცნობა	5	2.7

ხის მხატვრული დამუშავება	6	3.3
მთლიანი	183	100.0

შეკითხვაზე: „რამდენად გაამართლა ტრენინგმა თქვენი მოლოდინი“ შემდეგი პასუხები დაფიქსირდა:

1. სრულად - 147 -80%;
2. უმეტესად - 31 -17%;
3. ნაწილობრივ - 4 -2%

შეკითხვაზე: „ფიქრობთ თუ არა, რომ შეძლებთ ტრენინგზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვას?“ - შემდეგი:

1. დიახ - 153 – 83%;
2. უმეტესად - 23 -13%;
3. ნაწილობრივ - 2 – 1%

მონაწილეებს ვეკითხებოდით შეეფასებინათ ტრენინგის კომპეტენციები და უნარები. მონაწილეების 92% თვლის რომ ტრენინგის ძალიან კარგად ფლობს ტრენინგის სატრენინგო თემატიკას. მონაწილეების 95% თვლის რომ ტრენინგს შეეძლო ჯგუფის მართვა.

მონაწილეთა 88% თვლის, რომ „ტრენინგს შეუძლია დასახული მიზნებისა და დაგეგმილი საქმიანობის შესაბამისად დროის განაწილება და ეფექტურად მართვა“, ხოლო, მონაწილეთა 87% თვლის რომ „ტრენინგის მონაწილეთა ინტერესის გაზრდის მიზნით იყენებდა მრავალფეროვან მეთოდებს“.

მონაწილეთა 92% თვლის რომ ტრენინგები პასუხობდნენ დასმულ შეკითხვებს და საუბროსას მოყვადათ საჭირო მაგალითები. 91% კი თვლის რომ ტრენინგები მკაფიო და მარტივ ინსტრუქცია/განმარტებებს იძლეოდნენ ტრენინგის განმავლობაში. მონაწილეების აზრით: „ტრენინგებს შეეძლოთ მონაწილეთა მოსაზრებების საფუძველზე ეფექტური უკუკავშირის მიცემა“

საინტერესოა როგორ შეაფასეს მონაწილეებმა ტრენინგის ორგანიზაციული მხარე. მონაწილეთა 70%-ს მოეწონა ადგილმდებარეობა, ხოლო 78%-ს სატრენინგო სივრცე და გარემო. 77%-ს მონაწილეებისა ძალიან მოეწონა ტრენინგის ტექნიკური უზრუნველყოფა, ხოლო 80%-ს -მატერიალური.

შეკითხვაზე: „ტრენინგის გაუმჯობესების მიზნით რა სახის ცვლილებების შეტანას

გვირჩევდით?“ შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- ახალ მანქანა -დანადგარებთან მუშაობის გაცნობის შესაძლებლობა
- ახალი ხელსაწყოების გაცნობა
- გრძელვადიანი ტრენინგი
- მეტი პრაქტიკული აქტივობა
- მეტი ყურადღება მიექცეს შეფასებებს და შედეგების მტკიცებულებებს
- პრაქტიკული ტრენინგი კეთილმოწყობილ კოლეჯებში
- სამივლინებო ხარჯების ორგანიზება
- სასტუმრო და ტრენინგი ერთ შენობაში ჩატარდეს
- სატრენინგო დროის გაზრდა
- ტრენინგის ხანგრძლივობის გაზრდა
- უნდა ჩატარდეს სასწავლო პროცესიდან თავისუფალ დროს

შეკითხვაზე: „გთხოვთ მიუთითოთ, რა თემების, მეთოდებისა და აქტივობების გაცნობა/შესწავლას ისურვებდით მომავალში ცოდნის გასაღრმავებლად?“ გამოიკვეთა შემდეგი მიმართულებები:

- აკვაპანელის კონსტრუქციები, შენობების დათბუნება
- ანიმაცია, 3D პრინტი
- ანიმაცია, რიგინგი
- აპარატული მასაჟი
- CISCO-ს კურსი
- ფასადის აკვაპანელის და შემოსვითი ჭერების მოწყობა
- ფილების დაგება სხვადასხვა ზედაპირებზე, ფოლადის, ხის, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.
- გრაფიკული პროგრამების (ფოტოშოპი 3) უკეთ შესწავლა
- იატაკის მოწყობის მეთოდები
- კომპიუტერული ციფრულ გრაფიკული პროგრამების ტრენინგები Linux-ის ადმინისტრირება
- Linux-ის ოპერაციული სისტემა
- მაცივრების და სარეცხი მანქანების ელექტრონული პლატები
- მაცივრებზე და სარეცხ მანქანებზე ორიენტაცია
- მასტერკლასი რძისა და შხამის ამოღებაზე
- მოდის ახალი ტენდენციები
- მოდულური სისტემა, ორსულთათვის მასაჟი, სამკურნალო ფიზიკულტურა Moodle,



## CISCO

- ქსელის ადმინისტრატორის და პრაქტიკული პროექტების დანეგვის კუთხით
- ღონისძიებების მოწყობის წესები
- ღონისძიების მოწყობის წესები, საპროტოკოლო მომსახურება
- საბიუჯეტო მმართველობა
- საფეხმავლო გიდების შეხვედრები
- სამთო გიდების შესახებ
- სარეკლამო პროცედურების ნაირსახეობა, რეფლექტოლოგია, ორსულთა მასაჟი, დიეტოთერაპია
- შემოსვითი ჭერშემოსვითი ჭერები, დასაჭიმი ჭერები, აკვაპანელი
- შეჭრის სხვადასხვა მეთოდები და კოლორისტიკა
- შხამის აღების ტექნოლოგია
- სხვა სამკერვალო ფაბრიკების მუშაობის პრინციპების გაცნობა, განსაკუთრებით ბათუმში.
- ტაილანდური მასაჟი, აკუპუნქტურა, მანუალური თერაპია,
- თეორიულად განხილული საკითხების პრაქტიკულად განხორციელება
- ტრენინგები მონათესავე პროფესიებშიც ცოდნის გასაღრმავებლად (მაგ, ოპრეტორი, ნაწარმის სპეციალისტი)
- ტრენინგი იმიტირებულ მასალების შესახებ.
- ტრენინდი კონსტრუირებაში
- ტუროპეტარის, ტურისტული კომპანიების შესახებ
- უფრო სიღრმისეულ გაცნობას, პრაქტიკის გაძლიერებას
- უსაფრთხოების საკითხები
- ვინდოუს სერვერი, ლინუქს, ცისკოს მოდული, ცისკოს სერტიპიცირება (ქართული)
- ვისურვებდი საგასახადო კოდექსის კუთხით მუშაობას ჯგუფთან, პრაქტიკული მაგალითებით
- ხის კონსტრუქციაზე ფილის დაგება
- ხის კონსტრუქციის დამუშავება ჰიდროსაიზოლაციო მასალებით და შესაბამისი მეთოდებით.

რაც შეეხება რეკომენდაციებს პედაგოგები შემდეგ რეკომენდაციებს გვაძლევენ:

- სხვა ტრენინგების დროს დაფინანსდეს მგზავრობა;
- სასურველია ტრენინგები ჩატარდეს არასამუშაო დღეებში;
- მეტი აქცენტი გაკეთდეს სპორტულ თემატიკაზე;

- სასტუმროს და კვების ხარჯების დაფინანსება.

#### 4.2. ტრენინგების შეფასების შედეგები მოდულურ სწავლებაში

ტრენინგები მასწავლებლებისათვის მოდულურ სწავლებაში განხორციელდა ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე ჩატარებულ ტრენინგებს დაემატა: „პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგი მოდულურ სწავლებაში - შეფასების ინსტრუმენტების განვითარება“ (ტრენინგის მოცულობა 15 საკონტაქტო საათი), ტრენინგები ჩატარდა 19 საჯარო კოლეჯში; ტრენინგი გაიარა 460 პედაგოგმა (საერთო რაოდენობის დაახლ. 61%);

შეფასების სისტემისა და ინსტრუმენტების გაცნობის ტრენინგი

შეკითხვაზე: „რამდენად გაამართლა ტრენინგმა თქვენი მოლოდინი?“ პედაგოგების 79% თანხმდება რომ შეფასების ტრენინგმა სრულად გაამართლა მათი მოლოდინი.

გამოკითხულთა 78% ფიქრობს რომ შეძლებს ტრენინგზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვას.

მონაწილეებს ვეკითხებოდით შეეფასებინათ ტრენინგის კომპეტენციები და უნარები. მონაწილეების 97% თვლის რომ ტრენინგი ძალიან კარგად ფლობს ტრენინგის სატრენინგო თემატიკას. მონაწილეების 95% თვლის რომ ტრენინგს შეეძლო ჯგუფის მართვა.

მონაწილეთა 93% თვლის, რომ „ტრენინგს შეუძლია დასახული მიზნებისა და დაგეგმილი საქმიანობის შესაბამისად დროის განაწილება და ეფექტურად მართვა“, ხოლო, მონაწილეთა 94% თვლის რომ „ტრენინგი მონაწილეთა ინტერესის გაზრდის მიზნით იყენებდა მრავალფეროვან მეთოდებს“.

მონაწილეთა 96% თვლის რომ ტრენინგები პასუხობდნენ დასმულ შეკითხვებს და საუბროსას მოყვადათ საჭირო მაგალითები. 96% კი თვლის რომ ტრენინგები მკაფიო და მარტივ ინსტრუქცია/განმარტებებს იძლეოდნენ ტრენინგის განმავლობაში. მონაწილეების 95%-ის აზრით: „ტრენინგებს შეეძლოთ მონაწილეთა მოსაზრებების საფუძველზე ეფექტური უკუკავშირის მიცემა“

საინტერესოა როგორ შეაფასეს მონაწილეებმა ტრენინგის ორგანიზაციული მხარე. მონაწილეთა 92%-ს მოეწონა ადგილმდებარეობა, ხოლო 90%-ს სატრენინგო სივრცე და გარემო. 97%-ს მონაწილეებისა ძალიან მოეწონა ტრენინგის ტექნიკური უზრუნველყოფა, ხოლო 85%-ს -მატერიალური.

ამ ტრენინგის შეფასება უფრო დადებითია ვიდრე საწარმოებში ცატარებული ტრენინგის. შეიძლება ანალიზის განხორციელება. რამ გამოიწვია, მიზეზები, ფაქტორები

და ასე შემდეგ.

შეკითხვაზე: „ტრენინგის გაუმჯობესების მიზნით რა სახის ცვლილებების შეტანას გვირჩევდით?“ შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- ტრენინგები ცალკეული პროფესიების მიხედვით (შეფასებაში)
- ჩემი აზრით სასურველია სამუშაო საათების გაზრდა
- დაემატოს თემები და დროის ხანგრძლივობა
- გაიზარდოს პედაგოგთა ჯგუფი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში
- კარგი იქნება თუ დარგების მიხედვით მოხდება მუშა ჯგუფების შექმნა
- კარგი იქნებოდა ტრენინგი ჩატარდეს პროფესიის მიხედვით
- სასურველია ტრენინგები ჩატარდეს უფრო ხშირად
- სასურველია ტრენინგი ჩატარდეს სპეციალობის მიხედვით
- სასურველია ტრენინგი ჩატარდეს წინასწარ განსაზღვრულ დროში
- საჭიროა მეტი კონტრეტიკა
- საჭიროა უფრო გამარტივებული მასალა
- შეფასების განმავითარებელი ტრენინგი

შეკითხვაზე: „გთხოვთ მიუთითოთ, რა თემების, მეთოდებისა და აქტივობების გაცნობა/შესწავლას ისურვებდით მომავალში ცოდნის გასაღრმავებლად?“ გამოიკვეთა შემდეგი მიმართულებები:

- აუცილებელი ტრენინგი სწავლების მეთოდის საკითხზე
- ბლუმის ტაქსონომიას
- ჩატარდეს განმავითარებელი ტრენინგები
- ჩემი პროფესიის მიხედვით
- დროულად მოგვაწოდონ სიახლეები
- გაგრძელდეს კონსულტაციები ამ თემაზე
- ჯიქსონის მეთოდი
- მდივან-რეფერანტების მოსამზადებელი ახალი პროგრამის დანერგვა
- მომავალში ცოდნის გასაღრმავებლად სასურველია უფრო გამარტივდეს მასალა
- სასურველია გამოიყოს ინსტრუქტორი რომელიც მუდამ იმუშავებს
- თვითშეფასების ტრენინგები

### 4.3. კვლევა და ტრენინგების შეფასება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში

2015 წლის დასაწყისში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარდა სოციოლოგიური კვლევა: „პროფესიული სასწავლებლის მასწავლებელთა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპეტენციების კვლევა“.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა:

- პროფესიული სასწავლებლის მასწავლებელთა მონაცემთა ბაზის შექმნა;
- პროფესიული სასწავლებლის მასწავლებელთა ისტ-ის ტრენინგ-საჭიროებათა დადგენა სასურველ თემებზე

პირველადი სოციოლოგიური ინფორმაცია შეგროვდა რაოდენობრივი მეთოდის, გამოკითხვის გამოყენებით. კერძოდ გამოყენებული იქნა საფოსტო (ელექტრონული) გამოკითხვა. კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა სტრუქტურირებული კითხვარი. სულ გამოკითხული იქნა 782 პროფესიული სასწავლებლის მასწავლებელი.

ქვემოთ მოცემულია დაჯამებული საჭიროებები, რომლის მიხედვითაც დაიგეგმა ტრენინგ მოდულის შინაარსი. მოდულები განხორციელდა 2015 წელს.

გამოკითხვის N	გამოკითხვის საგანი	მაქსიმალური საჭიროების (3 ქულა) რაოდენობა
1	Microsoft outlook (მაიკროსოფტ აუთლუქის) გამოყენება კოლეგებს შორის შიდა საქმიანი ურთიერთობისა და გეგმარებისთვის: დოკუმენტთა მიმოცვლა, სამუშაო გუნდის ამოცანათა დასახვა-შეტყობინება, ელ-ფოსტის მართვა, ღონისძიებათა და შეკრებების დაგეგმვა, საკონტაქტო პირთა სიების კატეგორიზაცია, სამუშაო დღიური, მოქნილი ანგარიშგება;	327
	Microsoft Excel (მაიკროსოფტ იქსელის) მეორე დონის კურსი: (მაგ:ფორმულის შეყვანა დოკუმენტში; ანგარიშების, სამოქმედო გეგმების შედგენა პროგრამაში და სხვა)	226
	Microsoft Power Point (მაიკროსოფტ ფაუერ ფოინტი)	198
	Microsoft Excel (მაიკროსოფტ იქსელის) საბაზო კურსი: (მაგ. პროგრამაში მონაცემების შეყვანა, მარტივი ცხრილების შედგენა, ინფორმაციის მონიშვნა და გადატანა, მარტივი დაანგარიშებები)	189


	ინტერნეტში საძიებო პროგრამა Google Chrome (გუგლ ქრომი) (ტექსტური და გამოსახულებითი ინფორმაციის მოძიება, შერჩევა და მყარ დისკზე შენახვა)	172
	Microsoft Word (მაიკროსოფტ ვორდის) მეორე დონის კურსი: (მაგ. ტექსტში სქოლიოს ჩასმა, ტექსტში სხვადასხვა ფიგურისა და სქემების ჩასმა, ტექსტის თავებისა და ქვეთავების გამოყოფა, კომენტარების დამატება და სხვა)	153
2	Microsoft Word (მაიკროსოფტ ვორდის) საბაზო კურსი: (მაგ. ტექსტის შედგენა, ტექსტის ნაწილების მონიშვნა და კოპირება, ტექსტის დამუშავება, შრიფტის ნომრისა და დიზაინის შეცვლა, ტექსტის გადიდება/დაპატარავება..)	139
3	ოპერაციული სისტემა ვინდოუს 7: ფაილების და საქაღალდეების შექმნა, მართვა კომპიუტერში თუ კომპიუტერსა და გადასატან დისკებს შორის, ვინდოუსის ძირითადი პარამეტრების რეგულირება (დესკტოპის გამოსახულება, ფერები, შრიფტები, მასშტაბი, დაძინება, .. ეკრანის კომპიუტერის	134

აღნიშნულ კვლევაზე დაყრდნობით მომზადდა საგანმანათლებლო მოდულები და პროფესიული განათლების პედაგოგები გადამზადდნენ მათთვისვე სასურველი მიმართულებებით. ტრენინგების განხორციელების დროს დაიგეგმა მონიტორინგი და შეფასება. ჩატარდა პოსტ კვლევა რომ შეგვეფასებინა რამდენად გაამართლა პედაგოგების მოლოდინი მოდულმა და რამდენად გათვალისწინებული იყო მათი თავდაპირველი მოთხოვნები და საჭიროებები პრაქტიკაში.

კვლევის ფარგლებში სულ გამოიკითხა 337 რესპოდენტი, მათგან 98% აღნიშნავს, რომ ტრენინგმა გაამართლა მათი მოლოდინი. ტრენინგის მონაწილეთა შეფასებები წარმოდგენილია სექციაზე #2.

## სექცია #2.


რამდენად გაამართლა ტრენინგმა თქვენი მოლოდინი?(%)



სქემა #3 ასახავს ტრენინგით რესპონდენტთა კმაყოფილების მაჩვენებლს კოლეჯების მიხედვით. პროფესიული კოლეჯი „მოდუსის“, „პრესტიჟის“ და თბილისის სპორტის კოლეჯის ყველა პედაგოგი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო გამოკითხვაში სრულიად კმაყოფილია პროფესიული სასწავლებლის მასწავლებლებისთვის განხორციელებული ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტრენინგით. აღსანიშნავია, რომ „უმეტესად“ კმაყოფილთა წილი თითქმის მეოთხედს შეადგენს კოლეჯი „ბლექსისა“ და „ოპიზარის“ მასწავლებლებში. ყველაზე მაღალი „უარი პასუხზე“ დაფიქსირდა კოლეჯ „თეთნულდისა“ და „ბლექსის“ შემთხვევაში.

**სქემა #3**

### ჩატარებული ტრენინგის კმაყოფილების მაჩვენებელი კოლეჯების მიხედვით (%)




კვლევის ფარგლებში ასევე დავინტერესდით მონაწილეთა აზრით, იმის შესახებ, შეძლებენ თუ არა ტრენინგზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვას. სქემა#4 ასახავს პასუხების განაწილებას ამ კითხვაზე. გამოვლინდა, რომ რეპონდენტთა 94% თვლის რომ, სრულად ან უმეტესად შეძლებს გამოიყენოს პროფესიული სასწავლებლის მასწავლებლებისთვის ჩატარებულ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტრენინგზე მიღებული ცოდნა პრაქტიკაში.

**სქემა#4**



ფიქრობთ თუ არა, რომ შეძლებთ ტრენინგზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვას? (%)




სქემა #5 ასახავს რესპონდენტების პასუხების განაწილებას კოლეჯების მიხედვით. კოლეჯ „თეთნულდისა“ და კოლეჯ „მერმისის“ რესპონდენტების 90%-ზე მეტმა აღნიშნა, რომ გამოიყენებს მიღებულ ცოდნას. აღსანიშნავია, რომ კოლეჯ „ფაზისისა“ და „პრესტიჟის“ ტრენინგის მონაწილე პედაგოგთა 10%-ზე მეტი მიიჩნევს, რომ მხოლოდ ნაწილობრივ შეძლებს აქ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას.

**სქემა #5**



ფიქრობთ თუ არა, რომ შეძლებთ ტრენინგზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვას? (%)



ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტრენინგის შეფასების კითხვარში ასევე იყო კითხვა მათთვის, ვინც თვლიდა რომ ტრენინგზე მიღებულ ცოდნას გამოიყენებდა.

შეკითხვაზე: “მიუთითეთ რომელ მეთოდს/სტრატეგიას, აქტივობას და ინსტრუმენტს გამოიყენებდით პრაქტიკაში?” გამოკითხული რეპოდენებიდან, ყველაზე ხშირად დასახელდა „აუთლუქის“ და „ექსელის“ გამოყენება, ასევე პრეზენტაციების მომზადება power point -ში. თითოეულ შეკითხვაზე პედაგოგების მხრიდან დასახელდა შემდეგი აქტივობები და ინსტრუმენტები:

**მეთოდი/სტრატეგია:**

- ✓ სლაიდების გაკეთება;
- ✓ თვალსაჩინოების მომზადება;
- ✓ საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება;
- ✓ ინფორმაციის მიწოდება ელ.ფოსტით;
- ✓ მონაცემთა ანალიზი;
- ✓ ვიდეო გაკვეთილები;

**აქტივობა:**


- ✓ პრეზენტაციები;
- ✓ სლაიდების გაკეთება;
- ✓ ინტერნეტიდან ინფორმაციის გადმოწერა;

- ✓ „აუთლუქში“ წერილების შექმნა და კალენდარის გამოყენება;
- ✓ „აუთლუქში“ წერილებზე დოკუმენტების მიზმა და გაგზავნა;
- ✓ ცხრილების და დიაგრამების გაკეთება;
- ✓ სკაიპის, gmail - ის, საძიებო სისტემების, google - ის გამოყენება;
- ✓ ფორმულების გამოყენება და დიაგრამების აგება;
- ✓ საშუალოს გამოთვლა;
- ✓ გრაფიკების აგება;
- ✓ თვალსაჩინოებების მომზადება;

#### ინსტრუმენტი:

- ✓ აქტიური კომუნიკაცია კოლეგებთან;
- ✓ აქტუალური მუშაობა;
- ✓ ცხრილების აგება;
- ✓ duolingo.com , slideshare.net;
- ✓ ექსელში ფილტრის გამოყენება;
- ✓ მონაცეთა გაფილტვრა ექსელში;
- ✓ Power point;
- ✓ “აუთლუქი”
- ✓ წერილების გაგზავნა;

### ტრენინგის შეფასება კრიტერიუმების მიხედვით (1-ძალიან ცუდი, 5-ძალიან კარგი)





რაც შეეხება შეკითხვას: „*ტრენინგის გაუმჯობესების მიზნით რა სახის ცვლილებების შეტანას გვირჩევდით?*“ 337 რესპოდენტიდან პასუხი არ გასცა 176 რესპოდენტმა (53%), ხოლო გამოკითხულთა 37 %-მა აღნიშნა რომ არაფრის შეცვლას არ ისურვებდა და კმაყოფილია ჩატარებული ტრენინგით. (იხ. ცხრილი # 8)

**ცხრილი#8**

➤ კმაყოფილია ტრენინგით და არ ისურვებდა ცვლილების შეტანას;	➤ 37%
➤ სასურველია სპეციალობის მიხედვით დაჯგუფდეს მსმენელები და თემები იყოს შესაბამისად შერჩეული;	➤ 14%
➤ სასურველია მეტი დრო დაეთმოს აღნიშნულ ტრენინგს და თითოეული ტრენინგი ეთმობოდეს მხოლოდ ერთი პროგრამის საფუძვლიანად შესწავლას;	➤ 13%
➤ სასურველია უფრო ხშირად ჩატარდეს ტრენინგი;	➤ 8%
➤ აუცილებელია პრაქტიკული მაგალითებისათვის მეტი დროის დათმობა ტრენინგის მხრიდან;	➤ 6%
➤ ტრენინგი დაიგეგმოს და ჩატარდეს არასამუშაო დღეებში	➤ 5%
➤ მნიშვნელოვანია პროფესიასთან დაკავშირებული მიდგომების უფრო ღრმად შესწავლა, რაც მათი აზრით უფრო გამოადგებათ პრაქტიკულ მუშაობაში;	➤ 2%
➤ სასურველია ტრენინგი იყოს თანმიმდევრობითი და თემების პარალელურად შესწავლის ნაცვლად ერთ კონკრეტულ თემას ეთმობოდეს უფრო მეტი დრო;	➤ 2%

გამოკითხულ რესპოდენტთა დანარჩენი 13 % თანაბრად განაწილდა შემდეგ პასუხებზე:

➤ სასურველია ისწავლებოდეს ფოსტის გაგზავნა;
➤ სასურველია ტრენინგის დაწყებამდე დარიგდეს მასალა;
➤ სასურველია მომზადდეს ტრენინგისთვის სახელმძღვანელო;
➤ ტრენინგზე გამოიყენებოდეს თანამედროვე მეთოდები და მიდგომები;
➤ შეასწავლონ პროგრამა ვიდეოს ჩასასწერად;
➤ ერთობლივი ტრენინგი სხვადსხვა კონკრეტულ თემებზე;
➤ სასურველია ტრენინგმა მეტი დრო გამოიხაროს მსმენელთან ინდივიდუალური მუშაობისათვის;
➤ ზაფხულში დღის მეორე ნახევარში არ დაიგეგმოს ტრენინგი;
➤ სასურველია ტრენინგის ჩანაწერების გაკეთება;
➤ სასურველია წინასწარ გაიგზავნოს სასწავლო პროგრამა მასწავლებლებთან;
➤ მოკლევადიანი და მარტივ ენაზე აგებული ტრენინგი არის დამდლევი;

შეკითხვაზე „*გთხოვთ მიუთითოთ, რა თემების, მეთოდების და აქტივობების გაცნობა/შესწავლას ისურვებდით მომავალში ცოდნის გასადრმაველად?*“ რესპოდენტთა მხოლოდ 45% (151 რესპოდენტი)- მა უპასუხა. მათ შორის 15 % - მა სასურველ თემად



თანამედროვე ტექნოლოგიების და სიახლეების შესწავლა დაასახელა. 7% - მა გამოთქვა სურვილი მეტი ცოდნა მიიღოს კონკრეტული სპეციალობის კუთხით, 6 % - ს ჯერ კიდევ არ აქვს საბოლოოდ მოფიქრებული სასურველი თემა. 5% - მა დაასახელა „ექსელის“ პროგრამა და ასევე 5% - მა eflow - ში მუშაობა, დანარჩენი პორცენტული წილი შემდეგ საკითხებზე გადანაწილდა:

- ✓ ბლოგზე მუშაობა და ვიდეოს ატვირთვა;
- ✓ ელექტრონული ცხრილების შექმნა;
- ✓ ფოტოშოპში მუშაობა;
- ✓ ტრენინგი ინტერნეტში ინფორმაციის მოძიების შესახებ;
- ✓ გრაფიკული პროგრამების შესწავლა;
- ✓ ხაზვის პროგრამის შესწავლა
- ✓ ტრენინგი ვებგვერდის შექმნის შესახებ.

საინტერესოა ის რომ Exell-ისა და Power Point-ის სიღრმისეული შესწავლა აღარ დაუფიქსირებიათ პედაგოგებს. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტრენინგზე მიღებული ინფორმაცია მათთვის საკმარისია. მაგრამ შეგვიძლია სხვა ანალიზიც: შეიძლება ვერ გაიგეს თემის შინაარსი და ამიტომ აღარც ახსენეს.

2016 წლისათვის დაგეგმილი ტრენინგებისას გათვალისწინებული იქნება ორივე კვლევის შედეგები. მოდულები მომზადდება როგორც პრე, ასევე პოსტ ტესტის დროს დასახელებულ საჭიროებებზე.

## 5. 2015 წელს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სხვა აქტივობები:

### 5.1. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

- UNDP თან ერთად შემუშავდა პედაგოგიური გზამკვლევი პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის. გზამკვლევი გახდება სახელმძღვანელო დოკუმენტი პედაგოგიური კურსის მსმენელთათვის;
- დაწყებულია მუშაობა პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიურ კურსზე;
- განხორციელდა სასწავლო ტური ანსბახისა და რეგენსბურგის პროფესიულ სასწავლებლებში. სამუშაო შეხვედრები მასწავლებლებთან, დირექტორებთან; ოხდა შეთანხმება სამომავლო თანამშრომლობაზე;
- EUVEGE - ევროკავშირის პროფესიული განათლების პროექტთან თანამშრომლობით მუშაობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების თემატური ჯგუფი. თემატური ჯგუფის ფარგლებში შემუშავდა შემდეგი დოკუმენტები:
  - ✓ პროფესიული განათლების მასწავლებლის, საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის რეგულირების შესახებ პროექტი
  - ✓ სასწავლებლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კოორდინატორების შერჩევის და საქმიანობის წესი
  - ✓ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების წესი
  - ✓ მასწავლებელთა რეგისტრაციის წესი
  - ✓ მასწავლებელთა ანაზღაურების წესი
  - ✓ მოხდა მასწავლებლის სტანდარტის განხილვა უცხოელი ექსპერტის ჩართულობით
  - ✓ შემუშავდა მასწავლებელთა პედაგოგიური გზამკვლევისა და საბაზო პედაგოგიური კურსის პროექტები

- **MCA** სთან თანამშრომლობით ჩატარდა მასწავლებელთა და საწარმოს ინსტრუქტორების ორეტაპიანი ტრენინგი „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება“:
  - 1 ეტაპი: მასწავლებელთა ტრენინგი
  - 2 ეტაპი: საწარმოს ტრენინგთა ტრენინგი
 შეჯამდა პილოტირების შედეგები, გაკეთდა ანალიზი. ტრენინგები სამომავლოდ გაგრძელდება
- **GIZ** - თან თანამშრომლობით: საერთაშორისო სიმპოზიუმზე მონაწილეობის მიღება, რომელიც ეძღვნებოდა პროფესიული განათლების განვითარებას. წარმოვადგინეთ სადისკუსიოდ: “პროფესიული განათლების მასწავლებლის, საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის რეგულირების შესახებ პროექტი“, რომლის განხილვასაც დადებითი უკუკავშირი მოყვა სიმპოზიუმის მონაწილეების მიერ.

## 5.2. სტრატეგიის სამოქმედო გეგმის მიხედვით შესრულებული სამუშაოები:

- შემუშავდა სახელმწიფო კოლეჯების მასწავლებელთა მონაცემთა ბაზა, გაკეთდა ამ მონაცემის ანალიზი;
- შეირჩა ტრენინგები და ორგანიზება გაეწია, მოდულურ პროგრამებში, ტრენინგთათვის ტრენინგებს;
- მოეწყო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთათვის სამუშაო შეხვედრები ქობულეთის, ფოთის, ბათუმისა და ოზურგეთის კოლეჯებში;
- განხორციელდა კვლევა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში პროფესიული განათლების მასწავლებელთა საჭიროებების დაგდენისათვის; კოორდინაცია გაეწია ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგ-მოდულის შემუშავებას;
- „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტრენინგი პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლებისათვის“ (კურსის ხანგრძლივობა 20 სთ), ჩატარდა 17 საჯარო კოლეჯში, მის-ივლისში; ტრენინგი გაიარა სულ 452 პედაგოგმა (საერთო რაოდენობის დაახლ. 60%); [დოკუმენტაცია: სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული ტრენინგ-მოდული, რომელიც შემუშავდა მასწავლებელთა საჭიროებების კვლევის



საფუძველზე; ტრენინგების ანგარიშები; მონაწილეთა მონაცემების ელექტრონული ბაზა];

- განათლების ხარისხის ცენტრთან თანამშრომლობით შემუშავდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგ-მოდული მოდულურ სწავლებაში. ტრენინგი განხორციელდა 2 ეტაპად:  
„ტრენინგი მოდულურ სწავლებაში პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლებისთვის\_შესავალი კურსი“ (12 სთ); ჩატარდა 18 საჯარო და 1 კერძო პროფესიულ სასწავლებელში, ივნის-ივლისში; ტრენინგები გაიარა სულ 545 პედაგოგმა (საერთო რაოდენობის დაახლ. 72%); [დოკუმენტაცია: სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული ტრენინგ-მოდული; ტრენინგების ანგარიშები; მონაწილეთა მონაცემების ელექტრონული ბაზა]. დახარჯული ინვესტიციის საერთო მოცულობა 10360 ლარი;  
„პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგი მოდულურ სწავლებაში - შეფასების ინსტრუმენტების განვითარება“ (15 სთ), სექტემბერ-ნოემბრის პერიოდში ჩატარდა 16 საჯარო კოლეჯში; ტრენინგი გაიარა 460-მა პედაგოგმა (საერთო რაოდენობის დაახლ. 53%); [დოკუმენტაცია: სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული ტრენინგ-მოდული; ტრენინგების ანგარიშები; მონაწილეთა მონაცემების ელექტრონული ბაზა];
- მასწავლებელთა ტრენინგები ინკლუზიური პროფესიული განათლების მიმართულებით, ტრენინგ-კურსი სახელწოდებით: „ინდივიდუალური მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების განათლებისას და პროფესიული ტესტირება\_ნაწილი I“ (10 სთ), 2015 წლის 22 სექტემბრიდან ჩატარდა 15 საჯარო კოლეჯში; ტრენინგი გაიარა 399 პედაგოგმა (საერთო რაოდენობის დაახლ. 53%); კურსი დაგეგმილია 2015 წლის ბოლომდე; [დოკუმენტაცია: სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული ტრენინგ-მოდული; ტრენინგების ანგარიშები; მონაწილეთა მონაცემების ელექტრონული ბაზა];

- სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2015 წლის ივნისიდან განხორციელდა საგანმანათლებლო დაწესებულებების იდენტიფიცირება (კერძო კოლეჯების, საჯარო კოლეჯების და სახელმწიფო უნივერსიტეტების) 52 დასანერგი მოდულური პროგრამების მიხედვით; შედგა შესაბამისი პრაქტიკის მასწავლებელთა მონაცემთა ბაზა კოლეჯების მიერ შევსებული კითხვარების საფუძველზე (დასანერგი 52 მოდულური პროგრამების მიხედვით). მონაცემთა ბაზაში აღრიცხულია 417 პრაქტიკის მასწავლებელი, აქედან 94 მასწავლებელი ფიქსირდება - 15 კერძო კოლეჯში, 249 მასწავლებელი - 19 საჯარო კოლეჯში და 74 მასწავლებელი - 7 სახელმწიფო უნივერსიტეტში. შევსებული კითხვარების საფუძველზე დამუშავდა და გაკეთდა ანალიზი.

განათლების ხარისხის განვითარების ცენტრისაგან გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია ფასილიტატორების შესახებ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს პროფესიული სტანდარტებისა და პროგრამების შემუშავებაში დასანერგი პრიორიტეტული მიმართულებებით. აღნიშნულმა ფასილიტატორებმა კოორდინაცია გაუწიეს მასწავლებლების საწარმოში ტრენინგების დაგეგმვასა და განხორციელებას.

- საჯარო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა ტრენინგები საწარმოებში, თანამედროვე ტექნოლოგიებში, ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით ჩატარდა 29 დასანერგი მოდულური პროფესიული პროგრამის მიმართულებით, ტრენინგი გაიარა 210-მა მასწავლებელმა (საერთო რაოდენობის დაახლ. 28%); ტრენინგები საწარმოებში დაგეგმილია 2015 წლის ბოლომდე [დოკუმენტაცია: ფასილიტატორების მიერ შემუშავებული ტრენინგ-მოდულები; ტრენინგების ანგარიშები; მონაწილეთა მონაცემების ელექტრონული ბაზა];





დასანერგი სპეციალობა/პროფესია	დარგის ფასილიტატორი	მასწავლებელი	სად ჩატარდა ტრენინგი
ლონისძიების მენეჯერი	მაკო ჯაოშვილი	6	პიარაკადემია
ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი	თემურ სარიშვილი	6	აპ.ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
მეფუტკრე	მზია ნაკაშიძე	4	საქართველოს მეფუტკრეთა გილდიის შპს „მანის“ სასწავლო-საწარმოო ცენტრი „უნივერსი“
ვებ პროგრამისტი	სერგო კარაკოზოვი	5	კომპანია "ITDC Training"
მასაჟისტ- რეაბილიტატორი	ხათუნა ურუშაძე	5	ესთეტიური რეაბილიტაციის ცენტრი „აურა პლუსი“
თექის ოსტატი	ნიკოლოზ ნუცუბიძე	5	აპ.ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტი	ელზა დავითაშვილი	5	შპს „ივერია“
სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი)	ნიკოლოზ გოგოჭური	6	შპს „იზი სოფტი“, კომპიუტერული გრაფიკის ლაბორატორია „ჯიპაში“
ვებ ინტერფეისის დეველოპერი	სერგო კარაკოზოვი	7	კომპანია "ITDC Training"
საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი	ნიკოლოზ გოგოჭური	5	შპს „იზი სოფტი“, კომპიუტერული გრაფიკის ლაბორატორია „ჯიპაში“



თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე	ედგარ ხუციშვილი	5	შპს „სითი ლოფტი“
ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი	თინათინ მოსიაშვილი	5	ნეტ-გაზეთის რედაქცია
თმის სტილისტი	ნინო ბოკუჩავა	8	„ისი პარის“ სილამაზის ცენტრი
ფილამწობი	ედგარ ხუციშვილი	13	შპს „სითი ლოფტი“
ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს-შემკეთებელი	ბადრი ჯარიაშვილი	5	კომპანია „ელიტ სერვისი“
კონსულტანტ-გამყიდველი	ნინო ბერიაშვილი	3	სს „ჯიპისი“ აფთიაქი
ბუღალტერი	კახაბერ ერაძე	14	FMG ბუღალტრული პროგრამების ლაბორატორია.
ბუღალტერ-ტექნიკოსი	კახაბერ ერაძე	4	FMG ბუღალტრული პროგრამების ლაბორატორია.
სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	თეა ბოდოკია	19	სამკერვალო საწარმო „მილერი და კომპანია“
ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი	თეა გელიკაშვილი	8	შპს „სამოსელი პირველი“
ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი	თამარ შალვაშვილი	17	EMIS, (Cisco-ს რეგიონალური აკადემია, „ახალი ქსელები“, „სილქნეტი“, „ალტა“, „ორი ნაბიჯი“)



მასწავლებელთა  
პროფესიული  
განვითარების  
პროექტის  
სანბარი

კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი	თამარ შალვაშვილი	8	EMIS, „ახალი ქსელები“
ოფისის მენეჯერი	მალხაზ თორია	12	საქართველოს ბიზნესის აკადემია
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი	ქეთი მელაძე	5	შპს „ნიუკას“
ტუროპერატორი	ქეთი მელაძე	3	შპს „ნიუკას“
სისტემების ოპერატორი	ვანო ოთხოზორია	6	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ინფორმატიკის ფაკულტეტი, მიკროპროცესორული და საზომი სისტემების დეპარტამენტი
ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი	თეა გელიკაშვილი	6	შპს „სამოსელი პირველი“
საკერავი მანქანების ოპერატორი	ელზა დავითაშვილი	5	შპს „ივერია“
დეკორატიულ- გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი	თეა ბოდოკია	10	აპ.ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

## 6. პროფესიული განათლების მასწავლებლის პედაგოგიური გზამკვლევი და პედაგოგიური კურსი

- პროგრამის ფარგლებში შემუშავდა პროფესიული განათლების მასწავლებლის პედაგოგიური გზამკვლევი. გზამკვლევის შემქნას მხარდაჭერა გაუწია გაეროს პროფესიული განათლების განვითარების პროგრამამ. წლის ბოლოსათვის გზამკვლევის რედაქტირება მიმდინარეობს
- დაიწყო მუშაობა პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური კურსის მოდულებზე. წლის დასაწყისიდან დაგეგმილია კურსის პილოტირება

## 7. სამომავლო გეგმები

- შემუშავდა სახელმწიფო პროგრამა 2016 წლისათვის, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმასთან:
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ღონისძიებები დასაწერგი მოდულური პროგრამების მიხედვით: ტრენინგები და მასწავლებელთა ინდივიდუალური კონსულტირების პროგრამა
- მასწავლებელთა ტრენინგები საწარმოებში - 60 % არსებული მასწავლებლების
- საბაზო პედაგოგიური კურსის პილოტირება და დამტკიცება
- მასწავლებელთა მინ. 15% გავლილი უნდა ჰქონდეს საბაზო პედ. კურსი
- რეგულირების დოკუმენტისა და „წესების“ განხილვა თემატურ ჯგუფზე, დამტკიცება
- ტრენინგები ინკლუზიურ განათლებაში
- ინგლისური ენის მასწავლებელთა მივლენა სასწავლებლებში (საპილოტედ 4 სასწავლებელში)
- საერთაშორისო მობილობის კონცეფციის შემუშავება
- საერთაშორისო მობილობის მოსამზადებელი პროგრამის მიხედვით პროფესიული განათლების მასწავლებლების ტრენინგი.
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა კონფერენცია-საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება;
- კვარტალური ჟურნალის მომზადება „პროფესიული განათლების მასწავლებელი“;



- მასწავლებელთა მონაცემთა ბაზის განახლება EMIS თან თანამშრომლობით.
- რეგულარული კვლევები: მასწავლებელთა საჭიროებების, განწყობის, შედეგების კვლევები (დონორებთან თანამშრომლობით)
- კერძო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა ჩართვა პროფესიული განვითარების ღონისძიებებში.